შპს - სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემია

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

თბილისი 2013 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ, შპს - სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემია, წარმოდგენილი მისი რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა ნარსიას სახით, და მეორეს მხრივ, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი რექტორის ერმილე მესხიას სახით, გამოვთქვამთ მზადყოფნას ურთიერთთანამშრომლობაზე და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ურთიერთთანამშრომლობის მიზანი

1. მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს. მხარეები იღებენ ვალდებულებას, შექმნან სათანადო პირობები ამ მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. მხარეები, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში სტუდენტების მომზადებისათვის ხელშეწყობის მიზნით, თანხმდებიან შემდეგი სახის თანამშრომლობაზე:

- აკადემიური, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოცდილების ურთიერთგაზიარება;

- ერთობლივი ღონისძიებების (კონფერენცია, სემინარები, ოლიმპიადა, საჯარო ლექცია და სხვ.) ორგანიზება და მათში მონაწილეობის მიღება;
- სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის, ბეჭდური გამოცემების და ელექტრონული ფორმის მასალების გაცვლა;
- საბიბლიოთეკო ფონდებით სარგებლობის უფლება.

2. მოქმედი სტანდარტების შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ხელი შეუწყონ აუდიოვიზუალური ხელოვნებისა და საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებით სასწავლო გეგმების შემუშავებაში ჩართულობას, რომელიც გაამარტივებს პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა მობილობის პროცედურებს.

მუხლი 3. მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზებას უზრუნველყოფენ აღნიშნული დაწესებულებების შესაბამისი უფლებამოსილი პირები.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.
2. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს იმ ვადით, სანამ ერთ–ერთი მხარე წერილობით არ მოითხოვს მის შეწყვეტას.
3. მემორანდუმი შედგენილია თანაბარ ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლის თითოეული ვარიანტი ინახება მხარეებთან.

შპს - სასწავლო უნივერსიტეტი ევროპული აკადემია რექტორის მოვალეობის შემსრულებელი	სსიპ -ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი რექტორი
პროფესორი ლაშა ნარსია	პროფესორი ერმილე მესხია